ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4642196

ნომერი: AR1701680

თარიღი : 15.08.2019

გაცემის თარიღი : 21.08.2019

გაცნობის თარიღი : 22.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N 113ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ცისკარიშვილი პ/ნ 01005025751
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 91

ორგანიზაცია:

- შპს ჰაშ თაგ ქონსთრაქშენ კოდი: 404534018

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2019 წლის 15 აგვისტოს №AR1701680 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრის და დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 15 აგვისტოს №AR1701680 განცხადებით მომართა გიორგი ცისკარიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4378519 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4378519 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), წინამძღვრიშვილის ქ. №113ა-ში შ.პ.ს. „ბარაკონი“-სა და შ.პ.ს. „კრისტალი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2019 წლის 11 მარტის №4401939 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 11 მარტიდან 2021 წლის 11 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4378519 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: დამხმარე ფართობად 272.7 კვ.მ-ის ნაცვლად 274.2 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 472.6 კვ.მ-ის ნაცვლად 466.6კვ.მ-ის, საერთო ფართობად 2955.9 კვ.მ-ის ნაცვლად 2951.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჭიროა წარმოდგენილ იქნას გეგმები საზაფხულო და დამხმარე ფართების მონიშვნით და საჭიროების შემთხვევაში დააზუსტდეს მოთხოვნა.

ამასთან, ვინაიდან წინამდებარე განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორებას, ვერ იქნება განხილული „ცვლილება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურით. აღნიშნული საკითხის განხილვა შესაძლებელია „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“-ის ნომენკლატურით, რისთვისაც ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 05 (ხუთი-) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია, კერძოდ: წარმოდგენილ იქნას გეგმები საზაფხულო და დამხმარე ფართების მონიშვნით და საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს მოთხოვნა. ამასთან, განცხადება დაარეგისტრიროს „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“-ის ნომენკლატურით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2019 წლის 15 აგვისტოს №AR1701680 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.